



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი

საჯარო სამართლის იურიდიული  
პირი - აჭარის კულტურული  
მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს  
დირექტორის

ბრძანება № 01-03/06

„5“ თებერვალი 2019 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის  
დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული  
მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შექმნის შესახებ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის N46 დადგენილებით დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო და დამტკიცდა სააგენტოს დებულება.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის N386 დადგენილების თანახმად, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე (გარდა არქეოლოგიური, საკულტო და საფორტიფიკაციო დანიშნულების ობიექტებისა) სამუშაოების ნებართვის გაცემის უფლებამოსილება. ამავე დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, ძეგლებზე სამუშაოების ნებართვის გაცემის საკითხის განხილვის უფლებამოსილება ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში შექმნილ სათათბირო ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის N46 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „ბ“ და მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტების, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს 2019 წლის 30 იანვრის N 11900091390 წერილისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 1 თებერვლის N 61900103959 წერილის თანახმად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანო - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ლაშა ჟღენტი -საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) ერმილე მესხია - საბჭოს წევრი;
- გ) აკაკო ძნელაძე -საბჭოს წევრი;“
- დ)ვიქტორია ბერიძე - საბჭოს წევრი;
- ე) სოფიო ჭანიშვილი - საბჭოს წევრი;
- ვ) ნინო ინაიშვილი - საბჭოს წევრი;
- ზ) შოთა გუჯაბიძე - საბჭოს წევრი;
- თ) ზვიად ბურჭულაძე - საბჭოს წევრი;
- ი) ტარიელ ტუსკია - საბჭოს წევრი;

2. კომისიის მდივნის ფუნქცია დაეკისროს სააგენტოს ძეგლებზე ბართვების გაცემისა და მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტს სოფიო ჭანიშვილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 31 იანვრის N4 ბრძანება.

4. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ადმინისტრაციულმა განყოფილებამ (ნ. მამულაიშვილი).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის: ქალაქი ბათუმი, ლ.გუდიაშვილის ქ. N4) და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს დირექტორი

ზაურ ახვლედიანი